თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5546468

ნომერი: AR1841393

თარიღი : 02.08.2021

გაცემის თარიღი : 12.08.2021

გაცნობის თარიღი : 14.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , IV მ/რ-ში , კაფე "ვაზისუბნი"-ს მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოლეგი კორძაია პ/ნ 62003000223
- სოხუმი ს. იაშთხვა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 02 აგვისტოს №AR1841393 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 03 აგვისტოს №5532186 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, საჭიროა, -3.20 ნიშნულზე კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი მიეთითოს ლიფტის შახტის ჩათვლით (დანარჩენ გეგმებზე სწორად გაქვთ მითითებული). ამასთან, გეგმებზე დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართობის ჯამური მაჩვენებელი არ ემთხვევა მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულ საცხოვრებელი ფართობის ჯამურ მაჩვენებელს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა საცხოვრებელ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს და საერთო ფართობებთან დაკავშირებით და წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2021 წლის 27 ივლისის №5520264 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური მხოლოდ ის გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) რომლებზეც ხდება ფართობების შესწორება.
ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 03 აგვისტოს №5532186 ბრძანებას გაეცანით 2021 წლის 04 აგვისტოს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2021 წლის 11 აგვისტოს სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 02 აგვისტოს №AR1841393 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.